შეტყობინება მეორე

განვიცადოთ ღმერთის მადლი ღმერთის სახლმშენებლობაში

ადგილები წერილიდან: ეფეს. 1:10; 3:9; 1 ტიმ. 1:4; გალ. 6:18; 1 კორ. 15:10; 2 პეტ. 3:18ა

I. მარადიული სახლმშენებლობა ღმერთისა არის ის, რომ მოიპოვოს ადამიანების ჯგუფი, რომელშიც სამერთიანი ღმერთს შეუძლია დაარიგოს თავისი თავი, გახდეს მათი სიცოცხლე და ყველაფერი მათთვის, იმ მიზნით, რომ ისინი შეურთდნენ მას როგორც ერთი, იყვნენ ავსებულნი და დაკავებულნი მისით და გახდნენ ერთი ორგანული მთლიანი მათთან დედამიწაზე როგორც ქრისტეს სხეული, ეკლესიები, მისი ერთობლივი გამოხატულებისათვის – ეფეს. 1:3-23:

ა. ღმერთის მარადიული სახლმშენებლობა არის ცენტრალური ხაზი მთელი წერილისა – მუხ. 10; 3:9.

ბ. წერილის განმარტება უნდა განხორციელდეს მკაცრ შესაბამისობაში ამ ცენტრალურ ხაზთან და ამ ხაზის სინათლეში – ლუკა 24:27, 32, 44.

გ. „ერთი“, რაზეც უნდა მოვახდინოთ კონცენტრაცია, რასაც ხაზი უნდა გავუსვათ და მივუტანოთ სხვებს, – ეს არის ახალი აღთქმისეული სახლმშენებლობა ღმერთისა – 1 ტიმ. 1:4.

დ. ქრისტიანული ცხოვრება არის ცხოვრება, განკუთვნილი ღმერთის სახლმშენებლობისათვის – 2 კორ. 5:14-15.

II. „ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლი დაე იყოს თქვენს სულთან“ – გალ. 6:18:

ა. ღმერთის სახლმშენებლობის არსი არის ის, რომ ქრისტე დღეს არის ღმერთის მადლი ჩვენს სულში – მუხ. 18:

1. ჩვენი ხელახლაშობილი სული, რომელშიც მკვიდრობს სული, არის ცენტრი ღმერთის დაპირებული კურთხევისა – იოანე 3:6; რომ. 8:10; 15:29; ეფეს. 1:3.
2. ჩვენ გვჭირდება, რომ უფლის მადლი, ანუ უხვი შეწევნა ყოვლისმომცველი სულისა, იყოს ჩვენს სულთან – ფილიპ. 1:19; 2 ტიმ. 4:22.

ბ. იესო ქრისტეს მადლი – არის უხვი შეწევნა სამერთიანი ღმერთისა (რომელიც განკაცებულია ძეში და ხდება ნამდვილი ჩვენთვის როგორც მაცოცხლებელი სული), რომლითაც ჩვენ ვტკბებით, ვავარჯიშებთ ჩვენს ადამიანურ სულს – იოანე 1:14; 1 კორ. 15:45ბ; 2 ტიმ. 4:22; ფილიმ. 25:

1. მადლი არის ღმერთი მამა, განკაცებული ძეში, რომელიც ხდება ნამდვილი ჩვენთვის როგორც სული; ბოლოს და ბოლოს სული არის მადლი – ებრ. 10:29.
2. ეს მადლი, საბოლოო დასრულება სამერთიანი ღმერთისა, ახლა მკვიდრობს ჩვენს სულში – ფილიპ. 4:23.
3. ჩვენი სული არის ერთადერთი ადგილი, სადაც ჩვენ შეგვიძლია განვიცადოთ მადლი – 2 ტიმ. 4:22.
4. იმისათვის, რომ მივიღოთ მადლი და დავტკბეთ მისით, ჩვენ უნდა მივმართოთ ჩვენს სულს და დავრჩეთ იქ, ვაღიაროთ უფალი ჩვენს თავად და მეფედ, პატივი ვცეთ მის მდგომარეობას, დავაფასოთ მისი

ძალაუფლება და დავინახოთ, რომ მადლის ტახტი არის ჩვენს სულში – გალ. 6:18; ებრ. 4:16.

გ. ჩვენ, ღმერთის შვილები, უნდა ვიყოთ ისინი, ვინც ღებულობს მადლს ჩვენი უფლის და ტკბება მისით თავის სულში – 2 კორ. 13:14; ფილიმ. 25:

1. ქრისტეს მიღება როგორც მადლის სულის ხდება მუდმივად, სიცოცხლის ბოლომდე – იოანე 1:16; გამოცხ. 22:21.
2. დღითი დღე უნდა ხდებოდეს საოცარი ღვთაებრივი გადაცემა, როდესაც ღმერთი უხვად გვამარაგებს მადლის სულით, ხოლო ჩვენ მუდმივად ვღებულობთ მადლის სულს – გალ. 3:2-5; იოანე 3:34.
3. იმისათვის, რომ გავეხსნათ ზეციურ გადაცემას იმ მიზნით, რომ მივიღოთ შეწევნა ყოვლისმომცველი მაცოცხლებელი მადლის სულისა, საჭიროა ვავარჯიშოთ ჩვენი სული, ვილოცოთ და მოვუხმოთ უფლის სახელს – 1 თეს. 5:16-18; რომ. 10:12-13.
4. როდესაც ვღებულობთ გამზადებულ და დასრულებულ სამერთიან ღმერთს როგორც ჩვენს მადლს და ვტკბებით მისით როგორც ჩვენი მადლით, ჩვენ თანდათან გავხდებით ორგანულად ერთი მასთან; ის გახდება ჩვენი შემადგენელი ელემენტი, ხოლო ჩვენ გავხდებით მისი გამოხატულება – 2 კორ. 1:12; 12:9.

III. „ღმერთის მადლით მე ვარ ის, ვინც ვარ; და მისი მადლი ჩემ მიმართ არ აღმოჩნდა ამაო... თუმცა, არა მე, არამედ ღმერთის მადლი, რომელიც არის ჩემთან“ – 1 კორ. 15:10:

ა. მადლი სამჯერ ნახსენები 1 კორ. 15:10-ში, არის აღმდგარი ქრისტე, რომელიც გახდა მაცოცხლებელი სული (მუხ. 45), რათა მოეტანა ჩვენში გამზადებული სამერთიანი ღმერთი აღდგომაში, რომელიც ხდება ჩვენი სიცოცხლე და სასიცოცხლო შეწევნა, რათა ჩვენ ვიცოცხლოთ აღდგომაში:

1. მადლი არის სამერთიანი ღმერთი, რომელიც ხდება ჩვენთვის სიცოცხლე და ყველაფერი – იოანე 1:17; გალ. 2:21.
2. ამ მადლით სავლე ტარსუსელი, პირველი ცოდვილებს შორის (1 ტიმ. 15-16), გახდა პირველი მოციქულებს შორის და იშრომა უფრო მეტად ვიდრე ყველა მოციქულმა.
3. ის, თუ როგორ მსახურობდა პავლე და ცხოვრობდა ამ მადლით, არის უდაო მოწმობა ქრისტეს აღდგომისა – 2 კორ. 1:12; 12:9.

ბ. გამოთქმა „არა მე, არამედ ღმერთის მადლი“ 1 კორ. 15:10-ში იგივეა, რაც გამოთქმა „არა მე... არამედ ქრისტე“ გალ. 2:20-ში; აქედან ჩანს, რომ ღმერთის მადლი არის თვით ქრისტე, ანუ თვით ღმერთი, რომელიც მუშაობს მოციქულის მეშვეობით:

1. მადლი, რომელიც იყო მოძრავი ძალა მოციქული პავლესათვის და რომელიც მოქმედებდა მასში, იყო არა რაღაც წარმოდგენა ან ნივთი – ეს იყო ცოცხალი პიროვნება, აღმდგარი ქრისტე, ღმერთი მამის განკაცება, რომელიც გახდა ყოვლისმომცველი მაცოცხლებელი სული, რომელიც მკვიდრობდა მოციქულში, და იყო მისთვის ყველაფერი.

2. ეს შეესაბამება იმას, რაც პავლემ განაცხადა ფილიპ. 4:13-ში: „ყველაფერი შემიძლია მასში, ვინც მაძლევს მე ძალას“:
   ა) ფილიპ. 4:13-ში სიტყვა „მასში“ მიუთითებს აღმდგარ ქრისტეზე, რომელიც გახდა მაცოცხლებელი სული.
   ბ) ასეთ ქრისტეში პავლე ავისო ძალით, რათა გაეკეთებინა ყველაფერი; ეს არის ღმერთის მადლი.

IV. გაიზარდეთ მადლში... ჩვენი უფლისა და მხსნელის იესო ქრისტესი“ – 2 პეტ. 3:18ა:

ა. მადლი არის სამერთიანი ღმერთი, რომელიც არის სიცოცხლე და სასიცოცხლო შეწევნა ჩვენთვის და ჩვენში; მადლში გაზრდა ნიშნავს გაზრდას ამ შინაგან სათავეში სიცოცხლის შეწევნისა – 1 პეტ. 5:10.

ბ. მადლი არის ღმერთი, გამზადებული განკაცების, სიკვდილის, აღდგომისა და ამაღლების მეშვეობით; ყველა ეს ელემენტი მადლისა არის ჩვენში, და ხდება ერთი ჩვენთან – ფილიპ. 4:23:
   1. მადლი არის თვითონ ღმერთი როგორც ჩვენი სიცოცხლე, რომელიც ხდება ერთი ჩვენთან, გადაგვარჩენს ჩვენ, იწყობს თავის სახლს ჩვენში და წარმოიქმნება ჩვენში; მადლში გაზრდა – ნიშნავს გაზრდას ღმერთის გადიდებაში – კოლ. 2:19.
   2. მადლი არის ის, რომ ღმერთი მოგვინახულებს ჩვენ, რათა დარჩეს ჩვენში და გახადოს თავისი თავი ერთი ჩვენთან; ჩვენ უნდა გავიზარდოთ ასეთ მადლში მისი დიდებისათვის დღეს და მარადისობის დღემდე – გამოცხ. 22:21.

© Living Stream Ministry, 2022